



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 39
2022 წლის 24 მარტი
ქ. თბილისი

„2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 28 იანვრის N12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტი უფროსის 2022 წლის 24 მარტის სამსახურებრივი ბარათის (N307439) შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება „2021 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 28 იანვრის N12 ბრძანების მე-4 პუნქტში და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 31 მარტისა.“.
2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, მანანა დათუაშვილს წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გააცნოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს და ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სასახურს.
3. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სასახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია მხარეებისათვის გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

184500